რეინტეგრაციის გზამკვლევი დაბრუნებული მიგრანტებისთვის

ბროშურა მოამზადა და გამოსცა სამოქალაქო განვითარების სააგენტომ (სიდა) და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს (GPAM) - ფარგლებში და მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოსთან თანამშრომლობით.

საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის პროგრამები

რა პროგრამები არსებობს საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა მხარდასაჭერად?

1. რეინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამა

2015 წლიდან საქართველოში ხორციელდება დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა, რომელსაც ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო საქართველოში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით. პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია შემდეგი სახის მხარდაჭერის მიღება:

- სოციალური პროექტების (მცირე ბიზნესი, შემოსავლის წყაროს გაჩენა) დაფინანსება;
- პროფესიული სწავლების დაფინანსება;
- ანაზღაურებადი სტაჟირება;
- სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების დაფინანსება;
- იურიდიული დახმარება.

რეინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩასართავად უნდა აკმაყოფილებდეთ შემდეგ მოთხოვნებს:

- უნდა იყოთ მხოლოდ საქართველოს მოქალაქე, ან მოქალაქეობის არმქონე პირი (საქართველოს მუდმივი ბინადრობის ნებართვით);
- საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდი უნდა იყოს 1 წელზე მეტი (უწყვეტ რეჟიმში);
- საზღვარგარეთ უნდა იმყოფებოდეთ არალეგალურად, ან საზღვარგარეთ გქონდეთ განაცხადი თავშესაფრის მიღებაზე, ან სარგებლობდეთ ჰუმანიტარული სტატუსით;
- რეინტეგრაციის პროგრამაში ჩართვის დროს სამშობლოში დაბრუნებიდან არ უნდა იყოს გასული 1 წელზე მეტი.

1. ამ პროექტის ფარგლებში დამიფინანსდება თუ არა სამედიცინო მომსახურება, ექიმთან კონსულტაცია, გამოკვლევები, ანალიზები?

სარეინტეგრაციო პოგრამაში ჩართულ პირს სამედიცინო დახმარება დაუფინანსდება (1000 ლარის ფარგლებში) მხოლოდ სიცოცხლისათვის საშიში მწვავე და ქრონიკული დაავადებების შემთხვევაში, რომელიც დგინდება ექიმის მიერ გაცემულ ფორმა №100 -ის მეშვეობით.

2. დაფინანსდება თუ არა სასწავლო პროცესი?

პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია მხოლოდ მოკლევადიანი (რამდენიმეთვიანი) სასწავლო კურსის დაფინანსება. პროფესიული სწავლა დაფინანსდება იმ პროფესიების და სპეციალობების მიხედვით, რაზეც არის შრომის ბაზრის მოთხოვნა და მიღებული ცოდნა ხელს შეუწყობს პროგრამაში ჩართულ პირს სამომავლო დასაქმებაში (მაქსიმალური თანხა 1000 ლარი).

3. რა შემთხვევაში დაგხვდებიან აეროპორტში?

თუ თქვენ სამშობლოში იძულებით დაგაბრუნეს, პროგრამა ითვალისწინებს დაბრუნებული მიგრანტის დახვედრას და დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ქვეყნის საემიგრაციო სამსახურიდან არსებობს შეტყობინება, რომ ბენეფიციარს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად ტრანსპორტირება.

4. რა თანხის ფარგლებში ფინანსდება მცირე სოციალურ პროექტები?

პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია მცირე სოციალური პროექტების დაფინანსება მაქსიმუმ 3,000 ლარის ფარგლებში. მცირე სოციალური პროექტის დაფინანსება ხდება სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ, რომელიც ადგენს წარმოდგენილი პროექტის გეგმის მდგრადობასა და წარმატებულობას.

5. რამდენი ხნის განმავლობაში არის შესაძლებელი ანაზღაურებადი სტაჟირების დაფინანსება?

პროგრამის ფარგლებში ხდება ანაზღაურებადი სტაჟირების დაფინანსება 3 თვის განმავლობაში. სტაჟირების პერიოდში ყოველთვიური ანაზღაურება შეადგენს 375 ლარს, საერთო ჯამში კი ერთ პირზე შესაძლებელია 1,125 ლარის ოდენობის ანაზღაურებადი სტაჟირების დაფინანსება.

გაითვალისწინეთ:

საზღვრის კვეთის დროს არ დაგავიწყდეთ პასპორტში შტამპის ჩარტყმის პროცედურა, რითაც დადასტურდება თქვენი სამშობლოში დაბრუნების თარიღი და დრო. აღნიშნული საჭიროა პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად. იმ შემთხვევაში, თუ დაკარგეთ პასპორტი და ვერ ადასტურებთ საზღვრის კვეთას, პროგრამაში დასარეგისტრირებლად უნდა აიღოთ საზღვრის კვეთის ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომახურების სააგენტოში.

დეტალური ინფორმაციისთვის დარეკეთ შემდეგ ნომერზე:

სამინისტროს ცხელი ხაზი: (+ 995 32) 2 43 11 00; (+ 995 32) 2 43 14 07
ელ. ფოსტა: reintegration@mra.gov.ge
ქ. თბილისი, მ.თამარაშვილის ქ. 15ა

2. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამები

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის მხარდასაჭერად ამჟამად ახორციელებს ორ პროგრამას:

1. ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობისა და თანამშრომლობის პროგრამა - More for More-ს, რომელიც სხვა კომპონენტებთან ერთად, ითვალისწინებს საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის მხარდაჭერის მრავალმხრივ ღონისძიებებს;
2. ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის პროგრამა (AVRR).

More for More-ს პროგრამას IOM ახორციელებს საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებთან, ძირითადად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან თანამშრომლობით.

პროექტი ითვალისწინებს საქართველოში ახალდაბრუნებულ იმ მიგრანტთა მხარდაჭერას, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას რეინტეგრაციაში. პროექტში მონაწილეობა შეუძლია საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტს, თუ იგი:

- არის საქართველოს მოქალაქე, ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელსაც გააჩნია საქართველოში მუდმივი ბინადრობის უფლება;
- იმყოფებოდა საზღვარგარეთ არალეგალურად, ან საზღვარგარეთ ჰქონდა განაცხადი თავშესაფრის მიღებაზე, ან სარგებლობდა დროებითი ჰუმანიტარული სტატუსით;
- საქართველოში დაბრუნდა მობილურობის ცენტრში რეგისტრაციამდე არაუმეტეს 6 თვით ადრე. საქართველოში

ბენეფიციარის დაბრუნების თარიღი უნდა იყოს დოკუმენტურად დადასტურებული (შესაბამისი ჩანაწერი პასპორტში, ცნობა საზღვრის კვეთის შესახებ და სხვა);
- იმყოფებოდა საზღვარგარეთ 1 წელის ან მეტი ხნის განმავლობაში.

პროექტში მონაწილეობა არ შეუძლია პირს, თუ იგი:

- საზღვარგარეთ წასული იყო ლეგალურად სასწავლო პროგრამით, ან სამუშაო კონტრაქტით;
- არის AVRR -ის „ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის პროექტის", ან სხვა სარეინტეგრაციო პროგრამის მონაწილე საქართველოში.

პროგრამის ფარგლებში დაბრუნებულ მიგრანტს შეიძლება გაეწიოს შემდეგი სახის დახმარება:

- აეროპორტში დახვედრა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთათვის;
- გადამისამართება შესაბამის სახელმწიფო, ან კერძო პროგრამებში ჩართვისათვის;
- დასაქმებისათვის საჭირო დოკუმენტების (CV, სამოტივაციო წერილი და სხვ.) მომზადებაში დახმარება;
- პროფესიული მომზადება/გადამზადების დაფინანსება/თანადაფინანსება;
- დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა ახალჩამოსული პირებისთვის, მხოლოდ განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში;
- საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში;
- სამედიცინო დახმარება სიცოცხლისთვის საშიში მწვავე და ქრონიკული დაავადებების მქონე ბენეფიციარებისთვის;
- მცირე ბიზნესის დაწყების ხელშეწყობა პროექტის იმ მონაწილეებისთვის, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი უნარ-ჩვევები და წინაპირობები.

მობილურობის ცენტრებში ინდივიდუალურად ხდება ცალკეული ბენეფიციარის საჭიროებების შეფასება და დახმარების შესაძლებლობების განსაზღვრა. AVRR-პროგრამა ითვალისწინებს მსოფლიოს 29 ქვეყნიდან დაბრუნებულ

მიგრანტთა მხარდაჭერას. ეს ქვეყნებია: საბერძნეთი, ბელგია, დანია, იტალია, შვეიცარია, ავსტრია, გერმანია, ესტონეთი, ჰოლანდია, ფინეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, სლოვაკეთი, პოლონეთი, ირლანდია, დიდი ბრიტანეთი, კანადა, ლუქსემბურგი, ნორვეგია, ჩეხეთი, ბრაზილია, ბელარუსი, თურქეთი, უკრაინა, მაკედონია, რუმინეთი, მოლდოვა და ისრაელი.

პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც აღნიშნულ ქვეყნებში იმყოფებიან თავშესაფრის მაძიებლის სტატუსით, მაგრამ უარი ეთქვათ ლტოლვილის სტატუსის მიღებაზე, ან არიან არალეგალური მიგრანტები და სურთ სამშობლოში ნებაყოფლობითი დაბრუნება.

სარეინტეგრაციო დახმარების გაცემის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება იმ ქვეყანაში, საიდანაც მიგრანტი გეგმავს დაბრუნებას. დახმარების პაკეტისა და გრანტის ოდენობა ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია. სარეინტეგრაციო დახმარების პაკეტისა და გრანტის ოდენობის შესახებ დაბრუნების ქვეყანა გადაწყვეტილებას იღებს ცალკეული ბენეფიციარის მიხედვით.

თუ გადაწყვიტეთ ნებაყოფლობით დაბრუნდეთ სამშობლოში და გსურთ დაბრუნებაში დაგეხმაროთ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), მიმართეთ დაბრუნების ქვეყანაში ამავე ორგანიზაციის წარმომადგენ–ლობას. ინფორმაცია IOM-ის წარმომადგენლობების შესახებ ქვეყნების მიხედვით შეგიძლიათ მოიძიოთ ვებ–გვერდზე: www.iom.int/countries

მიჰყევით ამ მბმულს, აირჩიეთ ქვეყანა, რომელშიც იმყოფებით და მიიღეთ საკონტაქტო ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ.

ზოგადად, სარეინტეგრაციო დახმარების პაკეტი შესაძლოა მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:

- ✓ ზოგადი კონსულტირება;
- ✓ სხვადასხვა სახის ტრენინგი;
- ✓ სამედიცინო დახმარება;
- ✓ დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა;
- ✓ მცირე ბიზნესის წამოწყება;
- ✓ გადამისამართება სახელმწიფო და კერძო პროგრამებში;
- ✓ დასაქმების ხელშეწყობა.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელშეწყობით საქართველოში დაბრუნებისას, დახმარების მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართებზე:

თბილისი
IOM-ის სათაო ოფისი
თ.აბულაძის ქ.19
ტელ.: (+995 32) 2 25-22-16

მობილურობის ცენტრი თბილისში
თბილისი, მ.თამარაშვილის 15ა
ტელ.: (+995 32) 2 600 955, (+995 32) 577 43 46 44

ბათუმი
ფარნავაზ მეფის ქუჩა 63
ტელ.: (+995 32) 422 22 88 83, (+995 32) 577 52 00 15

თელავი
ერეკლე II-ის გამზირი 8
ტელ.: (+995 32) 577 00 20 22

ქუთაისი
ა.წერეთლის ქ.63
ტელ.: (+995 32) 431 23 53 83

გორი
ი.სტალინის გამზირი 16
ტელ.: (+995 32) 370 27 70 78

ფოთი
კონსტიტუციის ქუჩა 54
ტელ.: (+995 32) 493 22 58 18

გთხოვთ, ცენტრებში მისვლამდე დარეკოთ და წინასწარ ჩაეწეროთ კონსულტაციაზე.

„რეინტეგრაციის გზამკვლევი დაბრუნებული მიგრანტებისთვის“ პუბლიკაციაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გვინდა გადავუხადოთ:

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
- დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
- იუსტიციის სამინისტროს / სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს / მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიას
- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურსოფლის მეურნეობის სამინისტროს

პუბლიკაციაზე მუშაობდნენ:

გიორგი გოგიშვილი
ქეთი აბულაშვილი
ზვიად დევდარიანი

www.cida.ge www.fb.me/cidacso